

პრეს რელიზი

# თარჯიმნის ხმა



2–15 წლის 30 იანვარი – 03 მაისი

.....

მხატვრები: ერიკ ბუნგერი, დუის ქამნიცერი, რეინერ განაღი, ლორა გარსია, ჯოსეფ გრიგერი, სუზან ჰილერი, ქრისტოფ ქედერი, ფაბრის სამინი, ზინებ სედირა, მღაღენ სტიდინოვიჩი, ნიკოლინ ვან ჰარსკამფი, ფრენკ ვესტერმეიერი და სიდვი ბოსიუ, ინგრიდ ვილდი მერინო

–

კურატორი: მარტინ ვადდმეიერი  
MARCO/FRAC Lorraine/SFKM ახადგაზრდა  
კურატორთა ჯილდოს დაუერთატი

–

გამოფენის თანაავტორები არიან 49 Nord 6 Est – FRAC Lorraine, MARCO, Museo de Arte Contemporánea de Vigo, და Sogn og Fjordane Kunstmuseum

.....

www.fracloorraine.org

დღეს თარჯიმნები ყვედგან არიან: როდესაც საჭიროა საქონლის საერთაშორისო ვაჭრობაში დახმარება, პოლიტიკურ დიდერთა შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება, ჩვენი ყოველდღიური ახალი ამბების ინტერპრეტაცია, ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის ონლაინ კომუნიკაციების წარმოება და უცხოურ ფილმებთან და რიტერატურასთან ჩვენი გაცნობა. უმეტესი ინფორმაცია, რაც ჩვენ გვაქვს მსოფლიოს შესახებ, თარჯიმნის მეშვეობით არის ჩვენამდე მოღწეული: გლობალური კომუნიკაციის და ცირკულაციის ტემპი რაც უფრო იზრდება, ამასთან ერთადაც იზრდება თარჯიმნის საჭიროება.

თარჯიმანი ხშირად ასოცირებულია დანაკარგთან. მართლაც, ენები და კულტურები არ წარმოადგენს ერთი და იგივეს თქმის სხვადასხვა გზას, მაგრამ წარმოადგენს სხვადასხვა რამის თქმის სხვადასხვა გზას. თარჯიმანი ამიტომ ყოველთვის მიახლოებულია; იგი ადამიანთა გამოცდილების გამოსატყობა შორის მედიაციის უსასრულო რთული დავადებაა. როგორ შეგვიძლია ჩვენ მაშინ წარმოვიდგინოთ ენებს შორის შეხვედრები არა მარტო როგორც სირთულე და წინააღმდეგობა, არამედ შემოქმედებისა და სწავლის წყარო? როგორ შეგვიძლია ჩვენ შევიცნოთ სამყარო სხვანაირად სხვადასხვა ენებზე? თარჯიმანი შეიძლება იყოს კრიტიკული ან დამლუპველი საქმიანობისთვის ადგილი?

ამ პროექტის სათაური, “თარჯიმნის ხმა”, მიუთითებს ორ თემატურ მიმართულებაზე. ერთის მხრივ, იგი მოიცავს საქმიანობის ხილვადად ქცევის იდეას – და თარჯიმნის ხმას, და მის ცენტრში მოქცევის უნდას, როგორც კულტურული განსხვავებების ხასიათის შესახებ ცოდნის უნიკალურ წყაროს. მეორეს მხრივ, თარჯიმნის ფიგურა ხდება გლობალიზაციისა და პოსტ-კოლონიური ეპოქის დინამიკური მდგომარეობისთვის კრიტიკული მეტაფორა: მზარდი საჭიროება – და სიხარული, და ტკივილი – იმისათვის რათა ვისწავლოთ უცხო ენები; მიგრანტების ნებაყოფილობით და იძულებითი მრავალენოვნება; “გლობალურ” ენებსა და “ადგილობრივ” კულტურებს შორის დაძაბული მოულოდნელი შეჯახება; და მსოფლიოს დაპარაკისა და გამოცდის “აქცენტირებული” გზა და ჰიბრიდული კულტურების ფენომენი.

მაშინ თარჯიმანი აღარ არის მხოლოდ პროფესია, ან საქმიანობას. იგი წარმოადგენს ადამიანურ მდგომარეობას, და ჩვენ უფრო და უფრო ხშირად გვიწევს ხორცი თარჯიმნის როლის შეთვისება ...

მარტინ ვადდმეიერი  
London, 14.11.2014